საფრანგეთი

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა განზოგადება

საფრანგეთის 1958 წლის ორგანული კანონი მაგისტრატურის სტატუსის შესახებ (მუხლი 43)

- მაგისტრატის მიერ საკუთარი მოვალეობების, პატივის, ღირსების, თავაზიანობის ვალდებულების ხელყოფა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

- ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება ასევე პროცესუალური წესის მძიმე და წინასწარშეცნობილი დარღვევა რომელიც წარმოადგენს მხარეთა უფლებების ფუნდამენტურ გარანტიას დადგენილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით,


კანონის დაცვის ვალდებულების დარღვევა
საქმისწარმოების გაჭიანურება
მოსამართლის მოვალეობათა შეუსრულებლობა
თავშეკავების ვალდებულება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულების დარღვევა, მართლმსაჯულების ნდობის განმტკიცების ვალდებულება
მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა/ მიკერძოების შთაბეჭდილება
სხვების (მათ შორის კოლეგების), სასამართლო ინსტიტუტების, პატივისცემა და თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა
თანამდებობის გამოყენება პირადი მიზნებისთვის
29
23
20
20
15
13
11


სამსახურებრივი საიდუმლოს გამჟღავნება, ფიცის დარღვევა
სასამართლო ქონების პირადი მიზნებისთვის გამოყენება
ხარვეზები სასამართლოს გადაწყვეტილებაში
საქმეზე წინასწარ შექმნილი აზრის გამოხატვა
პატიოსნების ვალდებულების დარღვევა
შეუთავსებელი საქმიანობა
სხვადასხვა
7
5
4
4
3
2
5

მოსამართლის მოვალეობათა შეუსრულებლობა

(ოლქში ცხოვრების, სამსახურში გამოცხადების, გადაწყვეტილებათა შედგენის, სხდომების ჩატარების, სხდომის ოქმის შედგენის, სხდომებზე გამოცხადების, საქმეთა გადაბარების, საქმეზე საპროცესო მოქმედებათა ჩატარების)

- სასამართლოს პლენუმმა მოსამართლეს დააკისრა არასრულწლოვნების მოსამართლის ფუნქციების დროებითი შესრულება. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მისი დატვირთულობის, ასევე სპეციალური განათლების არქონის გამო

- მას შემდეგ, რაც კოლეგიის მოსამართლემ უარი თქვა გადაწყვეტილების დაწერაზე გადატვირთულობის მოტივით, ის შეადგინეს მისმა კოლეგებმა; მან ასევე უარი თქვა სამსახურში გამოცხადებაზე ზოგიერთი საგამოძიებო შუამდგომლობის განსახილველად (პირადი აუცილებლობის მოტივით)

- სასამართლოს თავმჯდომარე არ ახდენდა რეაგირებას კოლეგების მიერ საქმეთა გაჭიანურებაზე და გამოიჩინა უუნარობა ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისას

- სხვა პოსტზე გადაყვანის მიუხედავად მოსამართლემ კანცელარიას არ გადააბარა საქმეები ისე, რომ ბევრ მათგანში გავიდა პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა;

კანონის დაცვის ვალდებულების დარღვევა

- უკანონო პატიმრობები
- ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები ერთი და იგივე საქმეზე,
- სასჯელის შემსუბუქებაზე გადაწყვეტილების მიღება კომისიასთან შეთანხმების გარეშე,
- სისხლის სამართლის საქმის არ შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად,
- სხდომის ოქმში იმ მოსამართლის მოხსენიება, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა საქმის განხილვაში,
- გადაწყვეტილებების შედგენა უკანა თარიღით,
- გამოძიების ჩატარება მოსამართლის წარმოებაში არ არსებულ საქმეზე

კანონის დაცვის ვალდებულების დარღვევა

- სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის თავმჯდომარემ სხდომის დარბაზში გამოაცხადა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება

- მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა განაცხადა ხმაურიანი პროტესტი მოსამართლის მიერ გამოცხადებულ სასჯელზე, მოსამართლემ შეცვალა სასჯელი და ის გაორმაგა;

- სასამართლო გადაწყვეტილებაში იყო მითითებული ორი მოსამართლე, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანის დროს აღარ მუშაობდნენ იმ სასამართლოში;

- მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, მაგრამ მას შემდეგ, როცა პროკურორი გავიდა დარბაზიდან, მოსამართლემ შეცვალა გადაწყვეტილება და პირს შეუფარდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება

საქმისწარმოების გაჭიანურება (გულისხმიერების ვალდებულების, გადაწყვეტილებათა შედგენის ვალდებულების დარღვევა)

(განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქმეებს სადაც დიდი ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა საპროცესო მოქმედება, ასევე ყურადღება ექცევა მოსამართლეთა დატვირთვას)

- თვეებითა და წლობით ჩაუნიშნავი საქმეები
- დიდი შუალედი მხარეთა კამათიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე.
- გადაწყვეტილებების შედგენა დაგვიანებით

სამსახურებრივი (მათ შორის თათბირის) საიდუმლოების გამჟღავნება

- იყო რა კოლეგიის წევრი სისხლის სამართლის საქმეზე, მოსამართლემ თავის მეგობარს განაჩენის გამოტანამდე გაუმხილა, რომ არ იქნებოდა გამოყენებული საპატიმრო სასჯელი

- გამოძიების მოსამართლემ დაარღვია წინასწარი გამოძიების საიდუმლოება: ჟურნალისტს მისცა დოკუმენტებზე წვდომისა და საგამოძიებო ღონისძიებებზე დასწრების უფლება, რასაც შედეგად მოჰყვა წინასწარი გამოძიების მასალების გასაჯაროვება

ხარვეზები სასამართლო გადაწყვეტილებებში

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა მისი გამოტანის თარიღი, რითაც საფრთხე შეუქმნა გასაჩივრების შესაძლებლობას;

გადაწყვეტილებებში გამორჩენილი იყო სავალდებულო რეკვიზიტები – მხარეები, სხდომის თარიღი

საქმეზე წინასწარ შექმნილი აზრის გამოხატვა

- მოსამართლემ საქმეზე წინასწარი შეხედულებები გაუზიარა ჟურნალისტს იმის შეცნობით, რომ არსებობდა ამ ინფორმაციის გახმაურების საფრთხე;
- რადიოში ინტერვიუს მიცემის დროს გამოთქვა მოსაზრება მის წარმოებაში არსებულ საქმეზე;

მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა/ მიკერძოების შთაბეჭდილება

- მოსამართლემ საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე მხარისთვის მიკუთვნებული თანხა ისესხა მხარისგან,
- ცალმხრივი კომუნიკაცია მხარესთან
- მხარესთან ახლო ურთიერთობები საქმის განხილვის დროს (მაგ. ინტიმური);
- საკუთარი ნათესავის დანიშვნა ექსპერტად,
- იმ საქმეების არ აცილება, რომლებზეც მოსამართლეს იურიდიული კონსულტაცია ჰქონდა გაცემული;
- მოსამართლე და პროკურორის საუბარი სხდომის დროს ტვიტერის მეშვეობით,
- პირადი ინტერესით საქმეების თავის თავზე დაწერა და განხილვა

თანამდებობის გამოყენება პირადი მიზნებისთვის

დაცული ინფორმაციის გამოთხოვა პირადი მიზნებისთვის,

თანამდებობრივი პრესტიჟის გამოყენება,

სამსახურებრივი ბლანკის გამოყენება პირადი მიზნებისთვის

სასამართლო ქონების პირადი მიზნებისთვის გამოყენება

- დაყადაღებული თანხის პირადი მიზნით გამოყენება

- სასამართლოს თავმჯდომარემ კანცელარიის არქივიდან ამოიღო დალუქული ნივთმტკიცებები: ტელევიზორი, მოსასმენები, კამერა, პროექტორი, ვიდეო-მაგნიტოფონი, რომლებსაც იყენებდა პირადი სარგებლობისთვის.

პატიოსნების ვალდებულება

- მოსამართლემ სამსახურში მიღების წინ დამალა ის ფაქტი, რომ ის უწინ გათავისუფლებული იყო პოლიციის კომისრის თანამდებობიდან სამსახურში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო

- ასევე მოიტყუა ავტომანქანის დაზღვევის გაფორმების დროს განცხადების შევსებისას (თითქოს მას ავტოსაგზაო შემთხვევა არასოდეს განუცდია),
-
- მოსამართლემ ასევე იცრუა სასამართლოს თავმჯდომარისთვის სტატისტიკური ანგარიშების მიწოდებისას, კერძოდ შეამცირა მის წარმოებაში არსებული დამთავრებული საქმეების რიცხვი

თავშეკავების ვალდებულება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულების დარღვევა, მართლმსაჯულების ნდობის განმტკიცების ვალდებულება

- ახლო კავშირები დამნაშავეთა სამყაროსთან,
- ამორალური ან შეუფერებელი ქმედებები
- ვალაუვალობა
- ალკოჰოლზე დამოკიდებულება

შეუთავსებელი საქმიანობა

- საადვოკატო საქმიანობა ყოფილი სამსახურის იურისდიქციის ფარგლებში,

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა სამეწარმეო ორგანიზაციაში

სხვების (მათ შორის კოლეგების), სასამართლო ინსტიტუტების, პატივისცემა და თავაზიანობა

- კოლეგების კრიტიკა მიუღებელი ფორმით (ხშირ შემთხვევაში წერილობით)
- დამამცირებელი, შეურაცმყოფელი ან უხამსი ტერმინოლოგიით მიმართვა, მათ შორის გარეგნობის გამო

მოსამართლემ გაავრცელა წერილი, სადაც აკრიტიკებდა საკუთარ კოლეგებს მათი პატივმოყვარეობის უგუნურების, სისულელის და სილაჩრის გამო;

- მოსამართლემ იხუმრა განსასჯელის გარეგნობასთან დაკავშირებით (თქვენი გარეგნობიდან გამომდინარე ვერ დავიჯერებ რომ კარგი ჭამა არ გიყვართ)

შეუთავსებელი საქმიანობა

- საადვოკატო საქმიანობა ყოფილი სამსახურის იურისდიქციის ფარგლებში,

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა სამეწარმეო ორგანიზაციაში

2015 წელი